ევროკავშირი
საქართველოსთვის

HEKS EPER
Bread for all.

საგრანტო კონკურსი

<u>მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით</u>

საერთაშორისო ორგანიზაცია „HEKS-EPER GEORGIA“, ევროკავშირის (EU) ფინანსური ხელშეწყობით **პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი და სრულყოფილი მონაწილეობისთვის“** ფარგლებში აცხადებს საგრანტო კონკურსს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

საგრანტო კონკურსის მიზანია ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა.

გამარჯვებულებს საშუალება მიეცეთ ისარგებლონ DCFTA-სთან (ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე) დაკავშირებული ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიღებითა და ექსპერტული კონსულტაციით. სურვილის შემთხვევაში გაიარონ კონსულტაცია ევროპის ბაზრისთვის საექსპორტო მიმართულების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

გრანტები გათვლილია სამიზნე მუნიციპალიტეტების მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩამოთვლილთაგან ერთერთით:

- ბიზნესში ქალების ჩართულობა და მათი გაძლიერება (პროექტი დაინტერესებულია ქალი მეწარმეების შესაძლებლობების განვითარებით და ასევე ახალგაზრდა მეწარმეების ხელშეწყობით);
- ინტეგრირებული ბიზნეს გარემოს შექმნა/გაუმჯობესება (იგულისხმება ბიზნეს საქმიანობაში ჩართული პირების ეთნიკური მრავალფეროვნება, გაუმჯობესებული ეკონომიკური კავშირები ეთნიკურ ჯგუფებს შორის);
- ბიზნესის მიერ წარმოებული პროდუქციის/მომსახურების ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა/ევროკავშირის ბაზარზე წვდომა

* <u>ბიზნეს იდეის განაცხადში უნდა განიმარტოს, თუ როგორ შეუწყობს ხელს ბიზნეს საქმიანობა ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთერთს მაინც.</u>

კონკურსის ფარგლებში ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის 6 მუნიციპალიტეტში **(მარნეული, ბოლნისი, დმანისი, ახალციხე, ახალქალაქი და ნინოწმინდა)** მხარდაჭერილი იქნება <u>50 ბიზნეს საქმიანობა.</u>

დაფინანსების განაწილება მოხდება შემდეგნაირად:

- **15 გრანტი - 2 000 ევრომდე**
- **16 გრანტი - 2 000 ევროდან - 5 000 ევრომდე**
- **16 გრანტი - 5 000 ევროდან - 10 000 ევრომდე**
- **3 გრანტი - 10 000 ევროდან - 60 000 ევრომდე** *(აღნიშნულ დაფინანსების მიღების შემთხვევაში, განმცხადებელმა აუცილებლად უნდა უზრუნველყოს ბიზნესის მიერ წარმოებული პროდუქციის/მომსახურების ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანას).*

** კონკურსში გამარჯვებული თავად უზრუნველყოფს ფინანსების გახარჯვას წარმოდგენილი გეგმის მიხედვით. აღნიშნული თანხის ჩარიცხვა მოხდება კონკურსანტის ანგარიშზე, ეროვნულ ვალუტაში, გაცემის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად.*

*** კონკურსანტმა, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში დეტალურად უნდა წარმოადგინოს გახარჯული თანხის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაცია, როგორც გრანტზე ასევე საკუთარ თანხობრივ თანამონაწილეობაზე.*

**** კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ მოცემულ პროექტის პირობებსა და მოთხოვნებს.*

CIF

SCCSF

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ადგილობრივ მცირე და საშუალო მეწარმე სუბიექტებს, რომელთაც სურთ: ა) ქალების ბიზნესში ჩართულობა და ეკონომიკური გაძლიერება; ან ბ) ინტეგრირებული ბიზნეს გარემოს შექმნა/გაუმჯობესება ეთნიკური მრავალფეროვნების მხრივ; ან გ) ბიზნესის მიერ წარმოებული პროდუქციის/მომსახურების ევროკავშირის ბაზარზე გატანა და/ან შესაბამისობაში მოყვანა.

კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- იყოს რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტად (იურიდიული ან ფიზიკური პირი)
- ბიზნეს საქმიანობას ახორციელებდეს პროექტის სამიზნე არეალში (მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, ახალციხის, ახალქალაქის ან ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში);
- უნდა გააჩნდეს აღნიშნული ბიზნესის ოპერირების მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება;
- ქმნიდეს სასოფლო სამეურნეო ან არასასოფლო პროდუქტს/მომსახურებას;
- შეეძლოს საკუთარ ბიზნესში თანხობრივი მონაწილეობა, შემდეგი განაწილებით:
  - 2 000 ევრომდე მოთხოვნილ გრანტებზე, მოთხოვნილი თანხის მინიმუმ 20%-იანი თანხობრივი თანამონაწილეობა;
  - 2 000 ევროდან 5 000 ევრომდე და 5 000 ევროდან 10 000 ევრომდე მოთხოვნილ გრანტებზე, მოთხოვნილი თანხის მინიმუმ 30%-იანი თანხობრივი თანამონაწილეობა;
  - 10 000 ევროდან 60 000 ევრომდე მოთხოვნილ გრანტებზე, მოთხოვნილი თანხის მინიმუმ 50%-იანი თანხობრივი თანამონაწილეობა.
- ბიზნეს იდეის კონკურსის გადალახვის შემდეგ, შერჩეული კონკურსანტი სრულად უნდა დაესწროს ორ დღიან ტრენინგს, რომელიც გაიმართება მათთვის შესაბამის მუნიციპალიტეტში და წარმოადგინოს სრული ბიზნეს გეგმა;
- დაფინანსებული ბიზნესისთვის პერიოდულად მოეწყობა მონიტორინგის ვიზიტი, ასევე მოუწევს კვარტალური ანგარიშის წარმოდგენა პროექტის წინაშე, როგორც საქმიანობის ასევე შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ;
- დაფინანსებული ბიზნესებისთვის პერიოდულად მოეწყობა ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები/ტრენინგები, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება პროექტის მიერ და რომელზე დასწრებაც იქნება სავალდებულო ბიზნესის წარმომადგენლის მხრიდან.

კონკურსის ფარგლებში არ დაფინანსება:

- კანონით აკრძალული საქმიანობა;
- თამბაქოს წარმოება/გადამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობა;
- ალკოჰოლის წარმოება/გადამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობა;
- სათამაშო და აზარტული ბიზნეს საქმიანობა;
- მაღალი რისკის შემცველი ბიზნეს საქმიანობა;
- ბიოლოგიური აქტივის და/ან ნედლეულის შეძენა;
- სამშენებლო სამუშაოების წარმოება;
- ბიზნეს საქმიანობა რომელიც შემოსავალს მიიღებს დაფინანსებიდან 12 თვის შემდეგ.

ბიზნეს იდეის შეფასებისთვის განკუთვნილი იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

#	შეფასების კრიტერიუმი	ქულის ოდენობა
1.	**ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ, სრულად არის შევსებული**	
1.1	განმცხადებლებს შორის პრიორიტეტი მიენიჭება ქალ მეწარმეებს, ახალგაზრდა მეწარმეებს, სპეციალური საჭიროების მქონე მეწარმეებს და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს.	5
2.	**ბიზნეს იდეის აღწერა**	
2.1	დეტალურად არის აღწერილი რა სახის პროდუქციას აწარმოებს ან რა მომსახურებას ეწევა.	10
2.2	ნათლად არის ჩამოყალიბებული საბაზრო სეგმენტი.	10
2.3	იდეის აღწერაში მკაფიოდ ჩანს ბიზნესის მოცულობა და გაფართოების შესაძლებლობები.	5
2.4	აღწერილია ბიზნესის ადგილმდებარეობა, ოპერირებისა ან/და რეალიზაციის არეალი.	5
2.5	დასაბუთებულია დაფინანსების შემდგომ შემოსავლის ზრდის და ბიზნესის გაუმჯობესების პერსპექტივა.	10
2.6	ბიზნესი ახლო მომავალში გეგმავს პროდუქციის/მომსახურების ევროპის ბაზარზე გატანას ან შესაბამისობაში მოყვანას, რაც იდეის განაცხადში ნათლად არის აღწერილი.	10
3.	**ბიზნესში ჩართული მხარეები**	
3.1	მკაფიოდ არის წარმოდგენილი დასაქმებული ან დასასაქმებელი პირების დახასიათება.	5
3.2	ნათლად ჩანს რა გავლენას იქონიებს დაფინანსების მოპოვება თანამშრომელთა მდგომარეობაზე ან სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.	5
4.	**თანამონაწილეობის ბიუჯეტი**	
4.1	კონკრეტულად არის აღწერილი რისთვის ესაჭიროება გრანტით დაფინანსება, ფასები წარმოდგენილია დაზუსტებულად.	10
4.2	კონკრეტულად არის აღწერილი რაში დახარჯავს საკუთარ თანამონაწილეობას, ფასები წარმოდგენილია დაზუსტებულად.	5
5.	**ბიზნესის რეალისტურობა**	
5.1	ბიზნეს იდეა მდგრადი და განხორციელებადია. დაფინანსების შემდეგ მოხდება ბიზნესის განვითარება, მიზნობრივი ჯგუფების სამუშაო პირობების გაუმჯობესება ან შემოსავლის ზრდა. მისი განხორციელება წარმოადგენს პროექტის პრიორიტეტებს.	10

! კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

1. შევსებული ბიზნეს იდეის განაცხადი PDF ფორმატში, ხელმოწერისა და თარიღის მითითებით;
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ბიზნესის საქმიანობის შესახებ.

ბიზნეს იდეის განაცხადის წარმოდგენის შემდეგ, შერჩეულ კონკურსანტებს მოუწევთ ბიზნეს გეგმის ტრენინგში მონაწილეობა და ბიზნეს გეგმის წარმოდგენა, დეტალურად იხილეთ „განრიგი და მექანიზმი“.

დაინტერესებულმა ბიზნესებმა შევსებული განაცხადის ფორმა და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან უნდა წარმოადგინონ **2023 წლის 5 ივნისამდე.** ელექტრონული ფორმით, შემდეგი ელ. ფოსტის მისამართზე: giorgi.tvaliashvili@heks-eper.org წერილის ველში (Subject) მიუთითეთ “SME Grants”

საგრანტო კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ დაესწროთ საინფორმაციო შეხვედრას, თქვენთვის შესაბამის სამიზნე მუნიციპალიტეტში. განრიგი იხილეთ ფეისბუქ გვერდზე: www.facebook.com/projectKKSJ/

<u>მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი კონკურსის **განრიგი და მექანიზმი:**</u>

1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება ფეისბუქ გვერდზე - 2023 წლის 1 მაისი.
2. საინფორმაციო შეხვედრების განხორციელება პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში - 2023 წლის 15-19 მაისი.
3. ბიზნეს იდეის განაცხადების მიღება - <u>2023 წლის 5 ივნისამდე.</u>
4. იდეის განაცხადების განხილვა კომისიის მიერ - 2023 წლის 12 ივნისამდე.
5. ბიზნეს გეგმის წერის ტრენინგის განხორციელება პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში - 2023 წლის 12 ივნისიდან - 25 ივნისამდე.
6. ბიზნეს გეგმების მიღება - <u>2023 წლის 10 ივლისამდე.</u>
7. ადგილზე მონიტორინგის ვიზიტები პროექტის თანამშრომლების მიერ - 2023 წლის 10 ივლისიდან - 23 ივლისამდე.
8. კონკურსანტებთან დისტანციური გასაუბრება - 2023 წლის 24 ივლისიდან - 30 ივლისამდე.
9. კონტრაქტის გაფორმება - 2023 წლის 1 აგვისტოდან.
10. შესყიდვის შემდგომი მონიტორინგი - 2023 წლის 21 აგვისტოდან.

საგრანტო კონკურსის ეტაპები:



პროექტის შესახებ ინფორმაცია და საგრანტო განაცხადის ფორმა იხილეთ Facebook გვერდზე www.facebook.com/projectKKSJ/

ბიზნეს იდეის განაცხადის ფორმა

1. განმცხადებელი

1.1 სახელი, გვარი ან იურიდიული პირის დასახელება: _____

1.2 პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი: _____

1.3 დაბადების/რეგისტრაციის თარიღი: _____

1.4 ბიზნესის ფაქტობრივი მისამართი

1.4.1 მუნიციპალიტეტი: _____

1.4.2 ქალაქი/სოფელი: _____

1.4.3 ქუჩა, ნომერი: _____

1.5 მობილურის ნომერი: _____

1.6 ელ. ფოსტა: _____

2. ბიზნეს იდეის აღწერა: (გთხოვთ მოკლედ აღწეროთ, არაუმეტეს 300 სიტყვით, რა სახის წარმოებას ან რა სახის მომსახურებას ეწევით, სად, ვისთვის და როგორ? რისთვის გესაჭიროებათ დაფინანსების მიღება, რა შემოსავალს და მოგებას ელოდებით დაფინანსების შემდგომ, რა მოთხოვნაა თქვენი საქმიანობით წარმოებულ პროდუქციაზე/მომსახურებაზე. როგორ გაუმჯობესდება თქვენი ბიზნესი დაფინანსების შემდგომ, როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ბიზნესის მომავალი და ასე შემდეგ. ასევე გთხოვთ აღწეროთ აპირებთ თუ არა თქვენი პროდუქტის/მომსახურების მიწოდებას ევროპის ბაზრისთვის ან ევროპული სტანდარტების დანერგვას).

3. **ბიზნესში ჩართული მხარეები:** (გთხოვთ მოკლედ აღწეროთ, არაუმეტეს 100 სიტყვით, რამდენი და ვინ არის ჩართული/დასაქმებული თქვენს ბიზნესში: ასაკი, სქესი, ეროვნული კუთვნილება ან/და სხვა მახასიათებლები. აღწერეთ თუ აპირებთ თანამშრომლების დამატებას დაფინანსების შემდგომ).

4. **თანამონაწილეობის ბიუჯეტი:** (გთხოვთ მიუთითოთ მოთხოვნილი და თანამონაწილეობის თანხები (ევროში) და აღწეროთ არაუმეტეს 100 სიტყვით, რის შესაძენად გჭირდებათ მოთხოვნილი გრანტი, რაში დაიხარჯება თქვენი თანამონაწილეობის თანხა).

მოთხოვნილი თანხა: _____ € **თანამონაწილეობის თანხა:** _____ €

პასუხისმგებელი (სახელი და გვარი):

ხელმოწერა:

თარიღი:

გისურვებთ წარმატებას!